# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 237

„ 22 “ დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნიკოლოზ ჯანაშიას სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „პ“ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილებისა და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ისტორიკოს ნიკოლოზ ჯანაშიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_485664.6412
Y_ 4624965.0978
ნიკოლოზ ჯანაშიას ქუჩა
X_485579.4755
Y_ 4624852.9777
X_485668.1945
Y_ 4625020.4453
ილია ნიჟარაძის ქუჩა
X_485493.5554
Y_ 4625085.4058